ბრძანება:**ბ132.132222835**
თარიღი:**10/10/2022**

დუშეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის საკონკურსო კომისიის შექმნის და მისი შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის N19 დადგენილებით დამტკიცებული „დუშეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესის“ მე-6 მუხლის თანახმად პროგრამის ფარგლებში მიღებული განაცხადებიდან გამარჯვებული კანდიდატების შერჩევის მიზნით, იქმნება საკონკურსო კომისია. კომისიის შემადგენლობას სამდივნოს წარდგინებით წელიწადში ერთხელ ამტკიცებს მერი. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგი წესით: მერის მოადგილე, საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯომარე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურების წარმომადგენლები, ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი, პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეიქმნას დუშეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ოთარ ჩხეიძე, მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) სოფიო გელიაშვილი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში , კომისიის წევრი;

გ) თამილა ნადირაშვილი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, კომისიის წევრი;

დ) დავით შაბურიშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

ე) გვანცა ესტატიშვილი, დუშეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

ვ) ნანი თეთრუაშვილი, ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დუშეთის საინფორმაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

ზ) ნათია წიქვაძე, პარტნიორი ორგანიზაციის - გაეროს განვითარების პროგრამის პოლიტიკის განვითარების სპეციალისტი;

თ) თამარ მაისურაძე, ა(ა)იპ „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის მცხეთა-მთიანეთის კომიტეტის“ (ს/ნ 236091894) თავმჯდომარე, კომისიის წევრი;

2. ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა კომისიის წევრებისათვის;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17.

მანანა ნარიმანიძე

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი